პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

შაბათი,
15 იანვარი,
1957 წელი
№ 7 (1021)
ფასი 30 კაპ.
გამოცემის მე-18 წელი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ზეიმს გილოცავთ
დიდ ზეიმს,
ჩვენო შავლეგა
ვაჟკაცნო,
გისურვებთ თქვენმა
მარჯვენამ
მიწაც კი შეაბარბაცოს!

ისინი ჩამოვიდნენ მელბურნიდან

თქვენი ხმა,
თქვენი გუგუნი
ჰორიზონტებსაც
გასცილდეს,
თქვან, რა სილაღე
ჰქონიათ
კავკასიონის არწივებს!

13 იანვარი, 1957 წელი. თბილისის ვაგზალი საზეიმოდაა მორთული. ქარი აფრიალებს სპორტულ საზოგადოებათა ალმებს. ტრანსპარანტზე თეთრად ციაგებენ სიტყვები: „სალამი XVI ოლიმპიური თამაშების მონაწილეებს!“ დამხვდურები, ხელში ყვავილების თაიგულებით, მოუთმენლად გასცქერიან დასავლეთისაკენ. სასულე ორკესტრი ასრულებს შემხვედრ მარშს. მატარებელი მოსკოვი-თბილისი, რომლითაც ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოვიდნენ საქართველოს სასიქადულო სპორტსმენები — მელბურნის თამაშების მონაწილენი — ბაქანზე ჩამოდგა.

ვაგონიდან გადმოდიან ისინი, რომელთაც ასე მოუთმენლად მოელოდნენ საქართველოში: ოლიმპიური ჩემპიონები გივი კარტოზია და მირიან ცალქალამანიძე, ოლიმპიური თამაშების პრიზიორები ვახტანგ ბალავაძე, რომან ძნელაძე, გოგი სხირტლაძე, ნოდარ გვახარია, ბორის ნიკიტინი, ნადეჟდა დვალიშვილი, ოლიმპიადის მონაწილენი რ. ცირეკიძე და ი. ოსიპოვი. მათთან ერთად თბილისში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის თავისუფალ მოჭიდავეთა ოლიმპიური გუნდის მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი დ. ციმაკურიძე და მწვრთნელი ა. მეიფარიანი.

ოლიმპიელი სპორტსმენები ძლივს მიიკვლევენ გზას „ცოცხალ დერეფანში“, ისე ახლო შემორტყმიან გარს. ეს სიახლოვე, საყოველთაო-სახალხო სიყვარული ენერგიის დაუშრეტელი წყარო იყო საბჭოთა სპორტსმენებისათვის მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე.

* * *

გუშინ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში დედაქალაქის მშრომელებმა შეხვედრა მოუწყეს ოლიმპიურ სპორტსმენებს.

ოლიმპიურ სპორტსმენებს მიესალმა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე.

ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მოწინავე მუშამ დ. სახვაძემ პოეტმა ი. ნონეშვილმა, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის წარმომადგენლებმა სახელოვან სპორტსმენებს გამარჯვება მიულოცეს და ახალი წარმატებები უსურვეს.

საპასუხო სიტყვით გამოვიდნენ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და XVI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. კარტოზია და XVI ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. დვალიშვილი.

სახლის ბჭესთან შეხვდა გივი კარტოზიას თავისი მამა (სურათი ზევით), მაგრად ჩაკოცნა გამარჯვებული შვილი.

— რამოდენა გაზრდილა! — აღტაცებით წამოიძახა ნადეჟდა დვალიშვილმა, როდესაც ვაგონიდან გადმოსვლისთანავე თავისი შვილი ხელში აიტაცა. შუა სურათზე აღბეჭდილია ქალაქ მელბურნის ცენტრალური პროსპექტი, რომელიც გადაიღო სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა დ. ციმაკურიძემ.

ფოტოები მ. ზარგარიანისა

სურათზე: ზევით — ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ვ. ბალავაძე (მარცხნივ), ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი მ. ცალქალამანიძე, ქვევით — რ. ძნელაძე. ოლიმპიური გუნდის მწვრთნელს დ. ციმაკურიძეს პირველად მიესალმა და მშვიდობით დაბრუნება მიულოცა მისმა შვილმა.

რესპუბლიკის ათი საუკეთესო მძლეოსანი 1956 წლის შედეგების მიხედვით

ბიბლიოთეკა

ვაჟები

რბენა 100 მეტრზე

1. ლ. სანაძე — თბ. „ბურ“. — 10,5. 2-3 ლ. ანთაძე — თბ. „ლოკ“. ნ. კლიუევი — თბ. „შრ. რეზ“. — 10,6. 4-5. ზ. ჯარამნელი — თბ. „დ“ რ. ტრაპაიძე — თბ. „დ“ — 10,7, 6. ბ. სამოილენკო — თბ. „დ“ — 10,8. 7-10. ს. კუჩერენკო თბ. ოფ. სახლი, ვ. ბაკრიაშოვი თბ. „შრ. რეზ“, ა. ივაშჩენკო სოხ. „დ“, ე. ლომთაძე თბ. „კრ. ზნ“ — 10,9.

საშ. შედეგი 1955 წ. — 10,9, 1956 წ. — 10,7.

რბენა 200 მეტრზე

1. ლ. სანაძე — 21,5, 2. ნ. კლიუევი — 21,7, 3. ი. ბონდარენკო — თბ. „შრ. რეზ“.—21,9, 4-5. რ. ტრაპაიძე, ე. ლომთაძე — 22,0, 6. ზ. ჯარამნელი — 22,1, 7. ვ. ბაკრიაშოვი — 22,2. 8. მ. ვეჯეშიძე — თბ. „ბურ“. 22,4, 9. ბ. სამოილენკო — 22,7, 10-11. ე. ფილიევი—ბათ. „დ“. ი. ბორისენკო — ბათ. „დ“ — 23,2.

საშ. შედეგი 1955 წ.—22,5. 1956 წ. — 22,2.

რბენა 400 მეტრზე

1-2. ლ. სანაძე, ნ. კლიუევი — 49,1, 3. ი. ბონდარენკო — 50,1,4. რ. ტრაპაიძე — 50,2, 5. ვ. ბაკრიაშოვი — 50,9, 6-9. ა. ბოკუჩავა — ქალ. ქუთაისი ო. ხოლოდოკი „თბ. „ბურ“. ს. იახტანიგოვი თბ. „სპ“. ა. მალოიანი თბ. „ბურ“. — 52,0. 10-13. ვ. ვალიევი სტალინ. გან. განყ. ვ. მუსხელიშვილი თბ. „ბურ“. ზ. დეკანოსიძე თბ. „ბურ“. ი. მუქუროვი თბ. „ბურ“. — 52,2.

საშ. შედეგი 1955 წ. — 51,2, 1956 წ. 51,0.

რბენა 800 მეტრზე

1. პ. კუდრიავცევი — თბ. „დ“ — 1.54,0, 2. ვ. სპიცინი — ქუთაისი — 1.55,7, 3. ა. მალოიანი — 1.57,6, 4. ვ. ვალიევი — 1.58,0, 5. ი. კორისტილიოვი — ქუთ. „დ“. — 1.58, 4, 6. ა. გრინევსკი ქუთ. „დ“ — 1.58,6, 7. ვ. მუსხელიშვილი — 1.58,8, 8. ა. კრივოშეევი — თბ. „ბურ“. — 1.59,6, 9-10. ი. სერიკოვი — თბ. „ლოკ“. ა. ოკლანსკი—ბათ. „დ“. — 2.00,5.

საშ. შედეგი 1955 წ. — 1.59,5. 1956 წ. — 1.58,2.

რბენა 1.500 მეტრზე

1. ვ. სპიცინი — 3.59,6, 2. პ. კუდრიავცევი — 4.01,6, 3. ვ. პოზნარი — თბ. ოფ. სახლი—4.02,0, 4. ი. უშაკოვი — თბ. „ბურ“.— 4.11,8, 5. ა. მალოიანი — 4.12,0, 6. ა. ოკლანსკი —4.12,2, 7. კ. აგრბა თბ. „შრ. რეზ“. — 4.12,8, 8-9. ვ. ლეპსკი — სოხ. ვან. განყ. ვ. ზახაროვი — გულრიფში „კოლმ“. — 4.13,4, 10. ი. კორისტილიოვი — 4.16,8.

საშ. შედეგი 1955 წ. — 4.11,7, 1956 წ. 4.09,4.

რბენა 5.000 მეტრზე

1. ვ. ვაშაკიძე — თბ. „დ“. — 14.52,8, 2. ვ. ნავარენკო — თბ. ოფ. სახლი — 15.15,2, 3. ი. უშაკოვი — 15.15,8, 4. ვ. ფომინი — ზუგდიდი „კოლმ“. — 15.25,0, 5. ვ. სპიცინი—15.33,6, 6. ვ. კაზლაუსკასი — თბ. „ბურ“. — 15.36,4, 7. კ. აგრბა — 15.40,0, 8. ვ. ზახაროვი — 15.52,6, 9. გ. გოდერძიშვილი — თბ. „ბურ“. — 15.53,6, 10. ი. ახვლედიანი — სოხ. „დ“. — 16.05,0.

საშ. შედეგი 1955 წ. — 15.42,2 1956 წ. — 15.33,0.

რბენა 10.000 მეტრზე

1. ა. საფიოროვი — თბ. „ბურ“.— 31.48,8, 2. ი. უშაკოვი — 31:54,8, 3. ვ. ზახაროვი — 32.42,0, 4. კ. აგრბა — 33.17,4, 5. ვ. ნავარენკო — 34.15,0, 6. ა. ბოროვიკოვი — გუდაუთა „სპ“. — 36.20,4, 7. ნ. პოტაპოვი — თბ. „სპ“.—36.44,6, 8. ა. ფონია — სოხ. „ბურ“. — 36.54,6, 9. ვ. ნაუმოვი — გაგრა — 36.45,4, 10. გ. რუხაია — ფოთი „ბურ“. — 37.27,6.

საშ. შედეგი 1955 წ. — 36.06,0, 1956 წ. — 34.48,4.

თარჯრბენი 110 მეტრზე

1. გ. ლექავა — თბ. „დ“. —14.6, 2. მ. ტულუში — ბათ. „დ“ — 14,7, 3. გ. გვინჩიძე — თბ. „დ“ — 15,0, 4. ს. იახტანიგოვი — 15,3, 5-6. ს. ქავთარაძე — თბ. „ბურ“. ო. შკალა — ბათ. „დ“ — 16,0, 7. ი. დიაჩკოვი — თბ. „დ“ — 16,2, 8. ო. ხოლოდოკი — 16,3, 9. ვ. ცხვედიანი — თბ. „ბურ“. — 16,4, 10-11. რ. ქართველიშვილი თბ. „ბურ“. ვ. ბაზალენკო — ბათ. — 16,7.

საშ. შედეგი 1955 წ. — 16,1, 1956 წ. — 15,7.

თარჯრბენი 400 მეტრზე

1. ი. ბონდარენკო — 56,0, 2. ვ. ლეჟავა — 56,1, 3. პ. ნაგორნი — თბ. გან. განყ. — 59,7, 4. მ. ტულუში — 1.00,2, 5. ე. ლომთაძე — 1.01,2, 6. ტ. ზელიანინი — თბ. გან. განყ. — 1.01,4, 7. ვ. ალექსანდროვი თბ. „დ„ — 1.02,0, 8. ვ. პოპოვი — თბ. გან. განყ. — 1.02,2, 9. ზ. ალიევი — თბ. გან. განყ. — 1.02,7, 10. ნ. გაგოშიძე — თბ. ვან. განყ. — 1.03,8.

საშ. შედეგი 1955 წ. — 1.03,8, 1956 წ. — 1.02,0.

რბენა 3.000 მეტრზე დაბრკოლებებით

1. ვ. ვაშაკიძე — 9.09,6, 2. ვ. კაზლაუსკასი — 9.32,0, 3-4. ვ. ზახაროვი, ვ. სპიცინი — 9.44,0, 5. ვ. გოდერძიშვილი — 10.01,4, 6. ვ. ქირიკაშვილი თბ. „ბურ“. — 10.10,0.

საშ. შედეგი 1955 წ. — 11.01,4. 1956 წ. —

სიარული 20 კილომეტრზე

1. ბ. საკალაუსკასი — თბ. „შრ. რეზ“. — 1:36.08 4, 2. ა. მჭედლიშვილი — თბ. „ბურ“. — 1:37.59,8, 3. ნ. კალანდაძე — თბ. „დ“ — 1:38.08,0, 4. ვ. შჩერბინი — ფოთი „ბურ“. — 1:42.39,6, 5. ა. მარქაროვი — თბ. გან. განყ. — 1:46.17,2, 6. გ. აბელოვი — თბ. „ბურ“. — 1:48.00,0, 7. რ. დელარისა — თბ. „ბურ“. — 1:51.55,2, 8. ვ. კორნიენკო — სოხ. „დ“ — 1:53.20,2, 9. გ. წურწუმია — გალი „კოლმ“. 1:53.42,0, 10. გ. ეფიონიანი — სოხ. „ლოკ“. 2:02.23,6.

საშ. შედეგი 1955 წ. — ცნობები არ არის, 1956 წ. — 1:42.05,4.

სიარული 50 კილომეტრზე

1. ბ. საკალაუსკასი — 4:38.33,0, 2. ნ. კალანდაძე — 4:47.18,0.

სიგრძეზე ხტომა

1. ლ. გურგენიძე ბათ. „პიშჩ“. — 7.15, 2. ს. იახტანიგოვი — 6.97, 3. ბ. სამოილენკო — 6.96, 4. ს. ქავთარაძე — 6.80, 5. ვ. ჩხეიძე თბ. „სპარ“. — 6.76, 6-7 ი. კალიუჟნი ახალციხე, გ. გვინჩიძე — 6.75, 8. ზ. ძოძუაშვილი ქუთ. „დ“ — 6.71, 9. რ. კუკულავა — სოხ. გან. განყ. — 6.66, 10. ი. მუქუროვი — 6.62.

საშ. შედეგი — 1955 წ. — 6.73, 1956 წ. — 6.81.

სიმაღლეზე ხტომა

1. რ. შავლაყაძე — თბ. „დ“ — 2.01, 2-3. ნ. მაღლაფერიძე — ქუთ. „კრ. ზნ“. ო. მამონოვი — თბ. „ბურ“. — 1.90, 4-6. გ. ვიბლიანი — თბ. „ბურ“. ე. ფილიევი, გ. ბოხუა — ბათ. „ბურ“. — 1.85, 7. ვ. ლოხოვი — სტალინირი გან. განყ. — 1.84, 8-9. კ. ჯაფარიძე — თბ. „ბურ“. ო. ბარგანჯია — ოჩამჩ. „დ“ — 1.80, 10. ვ. ნიქელაძე — ქუთ. „ბურ“. — 1.78.

საშ. შედეგი 1955 წ. — 1.79, 1956 წ. 1.86.

სამხტომი

1. ვ. ალექსანდროვი სოხ. „ბურ“. — 14.68. 2. ვ. ჩხეიძე — 14.61, 3. ო. თაყაიშვილი — თბ. „ბურ“. 14.29, 4. ვ. ლოხოვი — 14.24, 5. ვ. სოკოლოვი — თბ. გან. განყ. 14.19, 6. ი. ხუბულავა — გალი „კოლმ“. — 14.01, 7. ი. ოლენინი — გუდაუთა „დ“ — 13.82, 8. რ. რამაზაშვილი — თბ. „ბურ“. — 13.76, 9. ა. ავიძბა თბ. „ბურ“. — 13.75, 10. თ. გველესიანი — თბ. „ბურ“. — 13.67.

საშ. შედეგი 1955 წ. — 13.82, 1956 წ. — 14.12.

ჭოკით ხტომა

1-3. ე. პიპინოვი — ბათუმი. ი. მუქუროვი ვ. ვენცკევიჩი — თბ. გან. განყ. — 4.00, 4. თ. მჭედლიშვილი — თბ. „ბურ“. — 3.90, 5. რ. გვიმრაძე —თბ. „ლოკ“. — 3.80, 6. ბ. გველესიანი — თბ. „ბურ“. 3.70, 7-8. ი. მარასალოვი — თბ. გან. განყ. ბ. კობიაშვილი — თბ. „ბურ“. — 3.60, 9-10. ა. ავიძბა, ი. სანგულია — სოხ. „კოლ“. — 3.50.

საშ შედეგი 1955 წ. — 3.57, 1956 წ. — 3.71.

ბადროს ტყორცნა

1. გ. ჩადუნელი — თბ. „სპარ“. — 50.13, 2. ვ. ბლიაძე — თბ. „დ“ — 48.20 3. ე. ნოზაძე — თბ. „ბურ“. — 46.16, 4. ი. ბაქრაძე — თბ. „ბურ“. — 45.26, 5. ო. გოჩაშვილი — თბ. „ბურ“. — 43.80, 6. შ. ტრანკაშვილი — სტალინ. „სპარ“. — 43.50, 7. შ. ელოევი — თბ. „სპარ“. — 42.41, 8. ა. ზაბურზანია — სოხ. „დ“. — 40.43, 9. გ. ერქომაიშვილი — ბათ. „ბურ“. — 39.56, 10. ი. ლორია — თბ. „ბურ“. — 39.33.

საშ. შედეგი 1955 წ. — 42.87, 1956 წ. — 43.85.

შუბის ტყორცნა

1. ი. გეგაური — თბ. „ლოკ“. — 62.88, 2. ვ. ჩხეიძე — 62.60, 3. ი. წულუკიძე — სოხ. „ბურ“. — 61.59, 4. ვ. ოჩიგავა — თბ. „ბურ“. — 61.48, 5. ვ. შმაკოვი — თბ. „ბურ“. — 60.73, 6. ა. შაგოვი — გაგრა გან. განყ. — 56.70 7. ა. ზარანდია — ბათ. „ბურ“. — 53. 70, 8. ა. კუპუხიძე — თბ. გან. განყ. — 52.05, 9. ბ. პეტრენკო — თბ. „ბურ“. — 51.71, 10. მ. უჩანეიშვილი — სოხ. „დ“. — 51.40.

საშ. შედეგი 1955 წ. — 56.08, 1956 წ. — 57.48.

უროს ტყორცნა

1. ა. მურავიოვი — თბ. „დ“ — 55.49, 2. რ. ტუროვი — თბ. „ბურ“. — 54.23, 3. ნ. დევდარიანი — თბ. „ლოკ“. — 51.05, 4. ე. ანისიმოვი — თბ. „ბურ“. — 50.34 5. ვ. კოვალენკო — თბ. „ბურ“. — 45.36, 6. ზ. მიქიაშვილი — თბ. „ბურ“. — 44.55, 7. ბ. ფილიპენკო — თბ. „ლოკ“. — 42.10, 8. რ. კანდელაკი — თბ. „ბურ“. — 41.70, 9. ო. გოჩაშვილი — 39.89. 10. რ. ახნაზაროვი — თბ. „ბურ“. — 36.26.

საშ. შედეგი 1955 წ. — 43.46, 1956 წ. — 46.09.

ბირთვის კვრა

1. ვ. ბლიაძე — 15.53, 2. გ. ჩადუნელი — 14.83, 3. მ. ცეცეშიძე — 14.72 4. გ. ერქომაიშვილი — 14.12, 5. ო. გოშაძე — ონი გან. განყ. — 13.87, 6. ი. წულუკიძე — 13.75, 7-8. ე. ანისიმოვი — ა. ხაჭაპურიძე — თბ. „ლოკ“. 13.03, 9. ი. ლორია — 12.89, 10. შ. ტრანკაშვილი — 12.71.

საშ. შედეგი 1955 წ. — 13.47, 1956 წ. — 13.85.

ათჭიდი

1. ს. იახტანიგოვი — 5629, 2. ო. ხოლოდოკი — 5385, 3. ო. მამონოვი —4960, 4. ჯ. ვიბლიანი თბ. „ბურ“. — 4883, 5. ე. ანისიმოვი — 4856, 6. ე. ფილიევი — 4598, 7. ა. ავიძბა — 4402, 8. ა. მგელაძე თბ. „ბურ“. — 4320, 9. ბ. გველესიანი — 3855, 10. გ. ბოხუა — 3539.

საშ. შედეგი 1955 წ. — ცნობები არ არის, 1956 წ. — 4715 ქულა.

ქალები

რბენა 100 მეტრზე

1. ნ. დვალიშვილი თბ. „დ“. — 11,9, 2. ნ. კონოვოლსკაია თბ. „დ“. —12,2, 3-4. რ. ყოჩლაძე თბ. „ბურ“. ტ. პშენიჩნაია თბ. გან. განყ. — 12,3, 5. ა. ოვივიანი თბ. „დ“. — 12,4, 6. ა. მარჩენკო თბ. „ბურ“. — 12,5, 7. ზ. ხონინა თბ. „შრ. რეზ“. — 12,6, 8-11. ე. კარმაევა თბ. „ლოკ“. ლ. პუტინცევა თბ. გან. განყ. ი. ზული თბ. „სპ“. გ. ფაროლდი თბ. გან. განყ. — 12,7.

საშ. შედეგი 1955 წ. — 12,7, 1956 წ. — 12,4.

რბენა 200 მეტრზე

1. ნ. დვალიშვილი — 24,4, 2. ა. ოვივიანი — 25,4, 3. ტ. პშენიჩნაია — 25,9, 4-6. ზ. ხონინა, ა. მარჩენკო, გ. ფაროლდი — 26,0, 7. ნ. კონოვოლსკაია — 26,2, 8. ს. ნარმანია თბ. „დ“. — 27,0, 9-10. ვ. მაკუშენკო ბათ. „პიშჩ“. კარდაშიდი სოხ. „დ“ — 27,1.

საშ. შედეგი 1955 წ. — 26,9, 1956 წ. — 26,3.

რბენა 400 მეტრზე

1. ს. ნარმანია — 58,6, 2-3. ა. მარჩენკო, ა. ოვივიანი — 58,9, 4. ლ. მაისაშვილი რუსთ. „მეტ“. — 1.01,2, 5. ს. პოლიანსკაია სოხ. „დ“. — 1.02,1, 6. ლ. ხრამცოვა თბ. „ურიჟაი“ — 1.02,6, 7. ფ. სტრახერი თბ. გან. განყ. — 1.02,8, 8. ლ. თოფჩიშვილი გორი, გან. განყ. — 1.03,1, 9-11. ტ. მიროშნიჩენკო ქუთ „დ“ ს. შახოვა თბ. „ბურ“. ვ. ჯავახოვა თბ. გან. განყ. — 1.03,3.

საშ. შედეგი 1955 წ. — 1.02,3, 1956 წ. — 1.01,5.

რბენა 800 მეტრზე

1. ლ. ხრამცოვა — 2.15,6, 2. ლ. მაისაშვილი — 2.21,0, 3. ა. მარჩენკო — 2.25,2, 4. ი. დოროხოვა თბ. „ლოკ“. — 2.28,0, 5. ლ. თოფჩიშვილი — 2.28,8, 6-7. ფ. სტრახერი, ს. შახოვა — 2.29,6, 8. რ. წოკოლაური თბ. „ბურ“. — 2.29,8, 9. პ. ჯიჯიხაშვილი თბ. „ბურ“. — 2.30,0, 10. ტ. მიროშნიჩენკო — 2.34,0.

საშ. შედეგი 1955 წ. — 2.32,6, 1956 წ. — 2.27,2.

თარჯრბენი 80 მეტრზე

1. რ. ყოჩლაძე — 10,9, 2. ც. თეთრაძე თბ. „ბურ“. — 11,6, 3. ჯ. ოდილავაძე თბ. „ბურ“. — 11,7, 4. ა. ოვივიანი — 12,0, 5. ზ. ხონინა—12,2, 6. ლ. პიგული თბ. „ბურ“. — 12,5, 7-8. ს. სხირტლაძე თბ. „ბურ“. ნ. კომოვა ბათ. „ნეფტ“. — 12,6, 9. ლ. ვოლოშინა თბ. გან. განყ. — 12,9, 10-11 ტ. ლუპანდინა თბ. „დ“. მ. კრაინიუკოვა სოხ. „დ“ — 13,1.

საშ. შედეგი 1955 წ. — 12,1, 1956 წ. — 11,8.

სიგრძეზე ხტომა

1. ნ. დვალიშვილი — 6.14, 2. ნ. სუვეროვა თბ. „კრ. ზნ“ — 5.71, 3. ნ. კალანდარიშვილი თბ. „ბურ“. — 5.40, 4. ს. სხირტლაძე — 5.25, 5. გ. ჯავახოვა — 5.21, 6-7. რ. ყოჩლაძე, ზ. სანეევა თბ. გან. განყ. — 5.15, 8-9. ზ. ხონინა, ა. ოვივიანი — 5.14, 10-13. ჯ. ოდილავაძე, ნ. ნოვიკოვა თბ. გან. განყ. ზ ჯიჯიშვილი თბ გან. განყ. ა. ტრუტნევა თბ. „ბურ“. — 5.12.

საშ. შედეგი 1955 წ. — 5.20, 1956 წ. — 5.34.

სიმაღლეზე ხტომა

1. ს. როზანოვა თბ. „ბურ“. — 1.59, 2. ე. ჯუგუროვა თბ. „ბურ“ — 1.49, 3. მ. კრაინიუკოვა — 1.46, 4-8. ტ. ზოტოვა თბ. გან. განყ. ი. კოზლოვსკაია თბ. „ბურ“. ი ხოდაკი თბ „ბურ“. მ. კომოვა, გ. პანტურია — თბ. „ბურ“. — 1.45, 9. თ. მეგრელიშვილი ბათ. „ბურ“.—1.41, 10-16. ს. იაკოვლევა —თბ. „ბურ“. ქ. ბოკუჩავა თბ. გან. განყ. ზ. ჯიჯიშვილი, ვ. ქიტინოვა თბ. „დ“. თ. ჩხეიძე თბ. „ბურ“. ა. გურკო — ბათ. „პიშჩ“. ნ. მღებრიშვილი ბათ. „დ“. — 1.40.

საშ. შედეგი 1955 წ. — 1.47,5, 1956 წ. — 1.46.

ბადროს ტყორცნა

1. ნ. დუმბაძე თბ. „დ“. — 52.22, 2. ლ. სესაძე თბ. „დ“. — 48.08, 3. ფ. ანტონოვა თბ. „ბურ“. 44.43, 4. მ. ნიჟილია ბათ გან. განყ. — 39.53, 5. ზ. დონსკაია სოხ. „დ“. — 38.93, 6. ი. სანეევა თბ. გან. განყ. — 37.40, 7. გ. ბრიტვინა თბ. „დ“. — 36,.42, 8. ქ. მარგიანი თბ. „ბურ“. — 35.18, 9. ი. ოგანესიანი თბ. გან. განყ. — 34.96, 10. ლ. ჯიდარიანი სოხ. „დ“. — 34.30.

საშ. შედეგი 1955 წ. — 38.60, 1956 წ — 40,14.

შუბის ტყორცნა

1. გ. ბრიტვინა — 45.13, 2. ნ. კაციტაძე თბ. „ბურ“. — 42.59 3. ვ. ქიტინოვა — 41.58, 4. ლ. ხარკოვსკაია თბ. „დ“. — 38.16, 5. ს. ლევიცკაია — ბათ. „დ“. — 36.13, 6. ი. ლუპარევა თბ. „ბურ“. — 36.00, 7. ა. ახამლოვა თბ. გან. განყ. — 35.60, 8. მ. კრაინიუკოვა — 33.70, 9. ა. ძუგაევა თბ. „ბურ“.— 31.07, 10. დიაჩკოვა — 26.55.

საშ. შედეგი 1955 წ. — 35.47, 1956 წ. — 36.65.

ბირთვის კვრა

1. ფ. ანტონოვა — 13.48, 2. ლ. სესაძე — 13.43, 3. გ. ბრიტვინა — 12.20, 4. ს. ლევიცკაია — 11.69, 5-6. მ. კრაინიუკოვა, ე. ჯუგუროვა — 11.68, 7. ზ. დონსკაია — 10.90, 8. ქ. მარგიანი — 10.88, 9-10. ი. სანეევა, ნ. სილაძე თბ. „ბურ“. — 10.62.

საშ. შედეგი 1955 წ. — 11.55, 1956 წ. — 11.72.

ხუთჭიდი

1. მ. კრაინიუკოვა — 3.808, 2. ე. ჯუგუროვა — 3.769, 3. ა. ოვივიანი — 3.702, 4. ს. სხირტლაძე — 3.568. 5. ქ. კარდაშიდი — 3.560, 6. ჯ. ოდილავაძე — 3.556, 7. მ. კომოვა — 3.328, 8. ლ. ეზუგბაია გალი, „კოლმ“. — 3.326 9. ლ. ვოლოშინა — 3.241, 10-11. ქ. ბოკუჩავა, ლ. მინდაძე თბ. გან. განყ. — 3.209.

საშ. შედეგი 1955 წ. — ცნობები არის არის, 1956 წ. — 3.506.

განვავითაროთ საზღვაო მოდელიზმი

ჩვენს რესპუბლიკაში საზღვაო მოდელიზმი 9 წლის წინათ დაინერგა. შედარებით ხანმოკლე პერიოდში იგი ახალგაზრდობის საყვარელ საქმიანობად გადაიქცა. მოდელისტებს ამჟამად ისევე, როგორც ფეხბურთელებს, მოჭადრაკეებს, მოჭიდავეებს ჰყავთ თავიანთი გულშემატკივრები, რომლებიც გულმოდგინედ ადევნებენ თვალს შეჯიბრებებს. საზღვაო მოდელისტთა მუშაობაში ახალგაზრდობას ჯეროვან დახმარებას უწევს ამ საქმის სპეციალისტები გემთმშენებელი ინჟინრები, სავაჭრო ფლოტის მეზღვაურები და სხვ.

საზღვაო მოდელისტთა წრეების კარგი მუშაობის მაგალითს იძლევა ქალაქ თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური. მათ მიერ დამზადებული მოდელები გამოირჩევიან მაღალი ხარისხითა და საქმის დიდი ცოდნით. ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ამ მხრივ სოხუმის დოსააფის საზღვაო კლუბში, თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, ქუთაისსა და ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.

ყოველწლიურად ეწყობა მოდელისტთა რესპუბლიკური შეჯიბრება. ასე იყო გასულ 1956 წელსაც, რომელიც რიგით მერვეს ითვლიდა. ამ შეჯიბრებაზე საერთო მოწონება დაიმსახურა ძმების ვ. და ა. მაყერების მაგიდის მოდელმა (ქალაქ სოხუმიდან), რომელმაც მიიღო მაქსიმალური შეფასება — 20 ქულა.

დიდი ინტერესი გამოიწვია მოძრავი მოდელების გასინჯვამ, სადაც ყურადღება ექცეოდა კურსის სისწორეს და სისწრაფის მასშტაბებს. მოდელებს ფინიშის ზღვარი უნდა გადაელახათ მას შემდეგ, რაც გაივლიდნენ ერთ ხაზზე ჩამწკრივებულ 9 კარს 50 მეტრის მანძილზე. შუა კარის გავლა იძლეოდა 10 ქულას. კურსიდან თანდათანობითი გადახვევა შესაბამისად ნაკლებ ქულებს, ხოლო გასაველი კარის გამოტოვება — 0 ქულას. მოძრავი მოდელების გამოცდაში კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს თბილისელებმა სალუქვაძემ (სამდინარო ტრამვაი), ლატარიამ (წყალქვეშა ნავი), სოხუმელმა ლისენკომ (ნაღმოსანი) და ბათუმელმა კუდრიაშევმა (სეინერი).

კარგი რადიოფიცირებული მოდელები წარმოადგინეს თბილისელებმა ქ. ცახელიძემ, დ. გალოგრემ და ხ. ნანუმოვმა. ამ მოდელებმა ყურადღება მიიპყრეს არა თავისი გარეგნული გაფორმებით, არამედ რადიოაპარატურის ზუსტი მუშაობით.

არსებული წარმატებების მიუხედავად ჩვენი რესპუბლიკის მოდელისტებს აქვთ ერთი ძირითადი და მთავარი ნაკლი. ისინი ზედმეტ ყურადღებას აქცევენ მოდელების გარეგნულ მხარეს და ნაკლებს მათ სამოძრაო თვისებებს. ჩვენს ახალგაზრდებს უნდა ახსოვდეთ, რომ მოდელის სამოძრაო თვისებები ისეთივე მაღალი ქულებით ფასდება, როგორითაც მისი გარეგნული მხარე. ამ ნაკლოვანების გათვალისწინების შედეგად საქართველოს დოსააფის რესპუბლიკურმა კომიტეტმა 1957 წლისათვის მიიღო დებულება, რომელშიც მთავარი ყურადღება ექცევა მოდელების სამოძრაო თვისებებს. მოსასალმებელია ისიც, რომ წელს შემოღებულ იქნება სამსაჯო კატეგორიები საზღვაო მოდელიზმში.

ა. ლავრენტიევი,
საქართველოს სსრ დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის უფროსი ინსტრუქტორი.

CCCP
CCCP
CCCP

თავისუფალ მოჭიდავეთა ოლიმპიური გუნდი მელბურნში გამგზავრების წინ ტაშკენტში გადიოდა წვრთნას. რედაქციას მუდმივი კავშირი ჰქონდა დამყარებული როგორც ცალკეულ მოჭიდავეებთან, ისე მის მწვრთნელთან სპორტის დამსახურებულ ოსტატ დ. ციმაკურიძესთან. როდესაც მელბურნში გამგზავრების დრომ მოაღწია, გადავწყვიტეთ ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი გვყოლოდა მელბურნის XVI ოლიმპიურ თამაშებზე. არჩევანი დ. ციმაკურიძეზე შეჩერდა.

გუშინ დ. ციმაკურიძე რედაქციას ეწვია თავის „დღიურით" — დღიურების კრებულით და გამომჟღავნებელი ფოტოფირების სავსე პარკით. ვიწყებთ დ. ციმაკურიძის დღიურების ბეჭდვას, რომლებშიც გადმოცემულია მეტად საინტერესო ამბები, ჩვენი სპორტსმენთა ბრძოლის დაუვიწყარი ეპიზოდების შესახებ.

დღიურებში აგრეთვე დიდი ადგილი უკავია მის პირად შთაბეჭდილებებს როგორც თვით ოლიმპიურ თამაშებზე, აგრეთვე მელბურნის და სხვა ქალაქების შესახებ.

◆

დაძაბული შეჯიბრებების და დიდების დღეები

◆

დ. ციმაკურიძე,

სპორტის დამსახურებული ოსტატი.

◆

ტაშკენტის აეროდრომის ვეებერთელა საათი ექვს გადაცდა, როდესაც რეაქტიული თვითმფრინავი ტუ-104 მოწყდა ადგილიდან და ღრუბლებში გაუჩინარდა. სამარშრუტო რუქაზე წითელმა ისარმა ნელნელა დაიწყო მოძრაობა დელის მიმართულებით. მაშ ასე, ჩვენი მარშრუტის პირველი ეტაპი ტაშკენტი-დელი ყოფილა.

ჯერ კარგად არც კი ვიყავით დალაგებულნი, რომ ჰიმალაის მთებს ზემოდან მოვექეცით. 10 ათასი მეტრის სიმაღლიდან დავყურებდით უმაღლეს მწვერვალებს, რომლებიც სათამაშო მაკეტს უფრო ჰგავდა, ვიდრე მრისხანე და მიუვალ მასივს. ალპინისტები ნუ მაწყენენ თუ ვიტყვი, რომ ამ წუთში მე ყველა მათგანზე უფრო ბედნიერი ვიყავი.

სულ მალე ნათელი გახდა რეაქტიული თვითმფრინავის უპირატესობა სხვა სამგზავრო თვითმფრინავებზე. დელი, რომელიც ასე შორეულად გვეჩვენებოდა ტაშკენტიდან, უკვე ჩვენს ქვეშ იყო. როგორც გამოირკვა ინდოეთის დედაქალაქში სულ მცირედი საქმე გვქონდა, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქ გზად შემოვიარეთ. თვითმფრინავმა მიიღო საწვავი და განაგრძო გზა რანგუნისაკენ.

ვინაიდან დრო საკმარისზე მეტი გვქონდა, ყველამ რაღაც საქმე გაიჩინა — ზოგი ჟურნალ-გაზეთებს მიუჯდა, ზოგმა კი ხმადაბალი ბაასი გააბა, ნაწილი დასასვენებლად მოემზადა. მეც ვიშოვე ჩემთვის გასართობი — სამარშრუტო რუქა. ვინაიდან თვითმფრინავი გზას მეტად მაღლა და დიდ სისწრაფეზე მიიკვლევდა, პატარა ჰერმეტიულად დახურული ფანჯარა შთაბეჭდილებებისათვის გამოუსადეგარი იყო. სამაგიეროდ რუქა ზუსტად გვიჩვენებდა სად ვიმყოფებით, რა სიმაღლეზე ვართ, როგორია ტემპერატურა გარეთ და ა. შ.

გადავუარეთ განგას, ან როგორც ინდოელები ამბობენ წმინდა მდინარეს. უკან დავტოვეთ კალკუტაც, გადავლახეთ ინდოეთისა და ბირმის საზღვარი და აი რანგუნი — ჩვენი პირველი შესვენების ადგილი.

ბირმელები სტუმართმოყვარე ხალხია. გულთბილი მისალმებების, გულღია შეხვედრების შემდეგ, ჩვენი დელეგაცია ავტობუსებით გაემგზავრა სასტუმრო „ამბოჯასაკენ". პირველი შთაბეჭდილება, რაც ჩვენ მივიღეთ ბირმის დედაქალაქში, იყო სიცხე, აუტანელი სიცხე. აქ ყველაზე დიდი პოპულარობით, როგორც ჩანს, სარგებლობს ვენტილატორი — ჩვეულებრივი მექანიკური გამაგრილებელი. რანგუნში ვენტილატორს ნახავთ ყველგან — სახლებში, სასტუმროებში, მანქანებში და ქუჩებშიც კი. სხვაგვარად არც შეიძლება, ხომ უნდა დააღწიო თავი როგორმე სიცხეს? მალე გამოირკვა, რომ რანგუნში რამდენიმე დღე უნდა დავრჩეთ. გადავწყვიტეთ საფუძვლიანად გავცნობოდით ჩვენთვის ამ უცხო ქვეყანას, მის ღირსშესანიშნაობებს და ჩვეულებებს.

თავდაპირველად ჩვენი ყურადღება მიიპყრო ტაძრების სიმრავლემ. აქ თითქმის ყოველ ნაბიჯზე იყო ცადაზიდული ტაძრები, მეტად ლამაზი არქიტექტურული ორნამენტებით. ყველაზე დიდი ბუდის ტაძარია. ბირმის ყოველი კუთხიდან მოდიან აქ სალოცავად. ის მორწმუნე ბირმელი, რომელიც არ ყოფილა ბუდის ტაძარში, ფეხი არ შეუდგამს ამ წმინდა სავანეში, ხალხში სიყვარულით არ სარგებლობს. ეს კარგად იცის ყველამ და სწორედ ამიტომ ცდილობენ ერთხელ მაინც მოხვდნენ ბუდასთან. გადმოცემის მიხედვით ბუდა ცხოვრობდა გამოქვაბულში, ამიტომ რანგუნელებმა ბუდას ხელოვნური გამოქვაბული აუშენეს. ამ გამოქვაბულს, რომელშიც 2000-მდე კაცი ეტევა, ზოგჯერ რელიგიური ზეიმებისათვის და ყრილობებისათვის იყენებენ. 1954 წელს სწორედ აქ მოეწყო მსოფლიოში ყველაზე უფრო ხანგრძლივი ყრილობა — ბუდის მიმდევართა VI ყრილობა. მან ორ წელიწადს გასტანა და მხოლოდ 1956 წელს დამთავრდა.

ქალაქში ყოველი ფეხის გადადგმაზე შეხვდებით ყვითელ სამოსში გახვეულ ბერებს. როგორც აგვიხსნეს ისინი არაფერს არ აკეთებენ მხოლოდ მოწყალებას თხოულობენ. ამის გამო, რა თქმა უნდა, მათი მდგომარეობა ჯერ არის მაინცდამაინც სახარბიელო, მაგრამ გვითხრეს ისიც, რომ ამ ბერებისათვის წყალობის მიცემა ღვთაებრივ ვალად ითვლება, რომ ყოველი გამვლელი შეძლებისდაგვარად აჯილდოვებს მათ.

რანგუნი თანამედროვე ტიპის ქალაქია. აქაც ისევე, როგორც ყველგან, დაჰქრიან მსუბუქი მანქანები, ავტობუსები, მოტოციკლები. არის ბევრი პარკი, ბაღი და გასართობი ადგილი. თუმცა მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურეობა რანგუნში თავისებურია. მაგალითად, თქვენ გინდათ ქალაქის ცენტრიდან მოხვდეთ პარკში. უნდა დაჯდეთ ავტობუსზე, რომელსაც წინ აქვს სპილოს სურათი. მარშრუტს აქ ცხოველების სურათებით განსაზღვრავენ. ზოგ ავტობუსს წინ გაკრული აქვს ცხენის სურათი, ზოგს მაიმუნის, ვირის ძაღლის. რანგუნელები ამაში არაფერს გასაკვირს არ ხედავენ. მათი აზრით ეს მეტად მარტივი და იოლი საქმეა.

ვინაიდან ჩვენი დელეგაციის შემადგენლობაში უმეტესობა ახალგაზრდობა იყო, ბუნებრივია დაგვაინტერესა სწავლის საკითხმა. გვითხრეს, რომ უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად ფულის გადახდაა საჭირო. კვირაში სამჯერ ორ-ორ საათიან ლექციებს კითხულობენ. ყველაზე უფრო გაგვაოცა იმან, რომ თურმე რანგუნის უნივერსიტეტდამთავრებულს ინდოეთში პირველ კურსზეც კი არ იღებენ.

რანგუნში სრულიად შემთხვევით შევხვდით ქართველ კინო-ოპერატორს გ. ასათიანს, რომელიც ფერადი დოკუმენტალური ფილმის გადასაღებად ყოფილა ჩამოსული. მან სხვებთან ერთად გვისურვა გამარჯვება, როგორც იტყვიან გზა დაგვილოცა და მეორე დღეს ე. ი. 14 დეკემბერს გავემგზავრეთ ბირმის დედაქალაქიდან.

ზუსტად შვიდის ნახევარზე რანგუნის დროით „პაა" ავიაკომპანიის თვითმფრინავით კურსი ავიღეთ სინგაპურისაკენ. ქალაქს ჯერ კარგად არ ვიყავით გაცილებული, რომ მფრინავის კაიუტიდან გამოვიდა ბორტმექანიკოსი და დაგვიწყო ახსნა, თუ რა უნდა გავაკეთოთ ავარიის შემთხვევაში. შემდეგ მან ჩამოგვირიგა სპეციალური სამაშველო წამოსასხამი, რომელიც ავტომატურად იბერება და წყალში ტივტივებს. ვიღაცამ ხუმრობით შენიშნა, რომ სამაშველო წამოსასხამი თავისთავად დიდი შეღავათია, მაგრამ მგზავრობა უავარიოდ მაინც სჯობსო.

სადღაც შორს, ჩვენს ქვევით ზღვა არის. ირგვლივ კი სიცარიელე და მუქი ფერის ღრუბლები. სტიუარდესამ ჩამოარიგა ვახშამი. ზოგიერთ ჩვენგანს დაღლილობა დაეტყო, მაგრამ წამალიც აქვეა. რბილი სავარძელი, შეგიძლია დილამდე იძინო.

მყუდროება რადიოს ხმამ დაარღვია. დიქტორმა გამოაცხადა, რომ ვიმყოფებით სინგაპურის თავზე. თვითმფრინავი ნელ-ნელა ეშვება სინგაპურის სამხედრო-საზღვაო პორტში. შესვენება გვაქვს ერთსაათიანი. ეს დრო რასაკვირველია, არ კმარა ქალაქში გასასვლელად, ამიტომ აეროდრომის დათვალიერებით დავკმაყოფილდით.

სინგაპური ღამის ორ საათზე დავტოვეთ. ახლა კურსი პირდაპირ ავსტრალიისაკენ ავიღეთ. გავიგეთ, რომ ქალაქ დარვინამდე 9 საათზე ადრე ვერ ჩავიდოდით. ჩვენთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ყველას აინტერესებდა მხოლოდ ერთი რამ — არ გამოგვეპაროდა ეკვატორის გადალახვის მომენტი. აი ეკვატორიც. გემზე, რომ ვყოფილიყავით აუცილებლად „მოგვნათლავდნენ". მაგრამ თვითმფრინავში სად იყო იმდენი წყალი „ნეპტუნის" დღეობა რომ გადაგვეხადა. ვუახლოვდებით ავსტრალიას — ჩვენი მგზავრობის მიზანს. ყველას სურს, რაც შეიძლება მალე დადგას ფეხი უცნობ მატერიკზე. გამოჩნდა ქალაქ დარვინის კონტურები.

მაგრამ არც დარვინში გავჩერდით დიდი ხნით აეროპორტის რესტორანში ვისაუზმეთ, სადაც სხვათაშორის მოგვიტანეს ნამდვილი ჩვენებური ჰყინტი ლობიო. შემდეგ დავათვალიერეთ პორტი და კვლავ თვითმფრინავში — ამჯერად უკანასკნელად. მელბურნამდე მეტი გაჩერება ჩვენ აღარ გვექნებოდა...

გვიან ღამის მიუხედავად, მელბურნი დაგვხვდა ურიცხვი ხალხით. აქ იყვნენ ყველა, ვისაც შეეძლო სიარული საერთოდ. იყვნენ ღრმა მოხუცებიც, ბავშვებიც, ძირითადში ახალგაზრდობა. დაიწყო იერიში ჩვენს სპორტსმენებზე. ყველა დამხვდურს ხელში ფანქარი და ქაღალდი ჰქონდა მომარჯვებული ავტოგრაფის მისაღებად. როგორც ჩანს, ავსტრალიაში ავტოგრაფების მიღების ხელოვნება საკმაოდ წინ წასულა. არ არის საჭირო დროს დაკარგვა ფანქრის ძებნისათვის. ისინი თვითონ გაწვდიან მას. მიუხედავად ამისა, დრო მაინც დაიკარგა. ასამდე ავტოგრაფის მიცემაც ხომ საქმეა. სპეციალური ავტობუსებით საბჭოთა სპორტსმენების დელეგაცია გაემგზავრა ოლიმპიური სოფლისაკენ.

უკან დარჩა 24-საათიანი საჰაერო მარშრუტი. ყველას ეტყობოდა დაღლილობა, ამიტომ ოლიმპიური სოფლის დათვალიერება მეორე დღისათვის გადავდეთ. დასათვალიერებელი კი მართლაც ბევრი რამ იყო. საბჭოთა სპორტსმენების დელეგაცია ოლიმპიური სოფლის ცენტრში იყო მოთავსებული. უამრავი ერთი და ორსართულიანი შენობა ყოველგვარი კომფორტით. 12-მდე სასადილო, კლუბები, კინოთეატრი, ბიბლიოთეკები მაღაზიები. აი ყველაფერი ის, რაც ავსტრალიელებმა დაახვედრეს სპორტსმენებს. სრულებით არ იყო საჭირო ქალაქში გასვლა — სპორტსმენი ოლიმპიურ სოფელში ყველაფრით იყო უზრუნველყოფილი.

მეორე დღეს დავიწყეთ ქალაქის გაცნობა. მელბურნი 1835 წელს დაარსებულა. მიუხედავად ამისა იგი ძალიან სწრაფად გაიზარდა მას შემდეგ, რაც ახალ სამხრეთ უელსში და ვიქტორიაში პირველად იქნა აღმოჩენილი ოქრო. „ოქროს ციებ-ცხელების" პერიოდში ავსტრალიისაკენ დაიძრა ბედის მაძიებელთა ლაშქარი. სწორედ ესენი იყვნენ მელბურნის პირველი მოქალაქეები. დღეს მელბურნი ვეებერთელა ქალაქია ცადაზიდული შენობებით, განიერი, ნათელი და ხმაურიანი ქუჩებით და გაუთავებელი რეკლამებით. ქალაქში ბევრია ღირსშესანიშნაობა. აი თუნდაც პარლამენტის შენობა, ან გუბერნატორის სასახლე, უნივერსიტეტი, განთქმული ბიბლიოთეკა და ა. შ.

ჩვენ, როგორც სპორტსმენებს, ბუნებრივია გვაინტერესებდა სტადიონისა და სპორტული დარბაზების ნახვა. სწორედ ამ მიზნით გავემგზავრეთ სტადიონზე. სადაც უამრავ ხალხს მოეყარა თავი. აგვიხსნეს, რომ ხალხი მძლეოსნების ვარჯიშის სანახავად იყო მოსული. ჩვენც დავინტერესდით. ამერიკელი ჭოკით მხტომელი რიჩარდსი, რომელსაც სხვაგვარად „მფრინავ პასტორს" უწოდებენ ვიღაც ზანგს ელაპარაკებოდა. იქვე სატყორცნ სექტორში ობრაიენი ვარჯიშობდა. შემდეგ გავიგეთ, რომ ზანგი გამოჩენილი მძლეოსანი ჯესი ოუენსი ყოფილა. იგი ამ ოლიმპიურ თამაშებზე მხოლოდ მაყურებლის როლში იქნებოდა.

ავსტრალიაში დიდი პოპულარობით სარგებლობს მძლეოსნობა. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ჟურნალისტები, განსაკუთრებით კი ფოტორეპორტიორები თუ სადმე მოიხელთებდნენ რომელიმე ცნობილ მძლეოსანს, არ გაუშვებდნენ, ვიდრე „წვენს არ გამოადენდნენ". ასეთ პირობებში ჩვენი მძლეოსანი ვლადიმერ კუცი პირდაპირ „ტანჯულს" ჰგავდა. ერთმა ფოტორეპორტიორმა კუცს ოლიმპიურ სოფელში მოაკითხა მანქანით. რატომღაც მაინცდამაინც საჭესთან მჯდარი კუცის სურათი უნდოდა. მანქანიდან გადმოსვლისას კუცმა შემთხვევით დააბიჯა ფეხი სამართავ პედალს. მანქანა აიძრა და მიეჯახა ელექტრონის ბოძს. კუცს ოდნავ გაეკაწრა სახე, ვიღაცამ იხუმრა — ეს არის ყველაზე კარგი საშუალება ფოტორეპორტიორების თავიდან მოსაცილებლადო.

(გაგრძელება იქნება)

• • •



სურათზე: ზევით — საბჭოთა მოჭიდავეები სალიმულინი (მარცხნიდან) ბალავაძე, საიადოვი. ქვევით — ინდოეთის სპორტული დელეგაციის ერთი ჯგუფი.

მოსკოვი. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალთან დაკავშირებით „დინამოს" სტადიონის სპორტკლუბში ჩამოყალიბდა ინგლისური ენის შემსწავლელი წრე, რომელშიც გაერთიანებულია სპორტის ოსტატები და სპორტკომბინატის მოსამსახურენი.

• • •

სურათზე: ინგლისური ენის მასწავლებელი სპორტსმენი ი. ნ. ნეჩაევა „დინამოს" სტადიონის სპორტკლუბში ატარებს მორიგ მეცადინეობას.

ფოტო ლ. დორენსკისა.



თბილისის ჩემპიონატი

თბილისის 1957 წლის საჭადრაკო ჩემპიონატის III ტურში მხოლოდ სამი პარტია დარჩა დაუმთავრებელი. ბლაგიძე შეხვდა გ. კაკოიშვილს, რომელიც ჩემპიონატში დაუშვეს ოსტატობის კანდიდატ ს. გოლუბ-ფლექსერის მაგიერ. უკანასკნელი, ტურნირიდან ავადმყოფობის გამო გავიდა. დებიუტიდანვე კაკოიშვილმა უკეთესი თამაში მიიღო, მაგრამ ვერ შეძლო მისი გამოყენება და პარტია ყაიმით დამთავრდა. ასეთივე შედეგი იყო ფიქსირებული კაჭარავა-ჯანოევის პარტიაშიც.

ლომაიამ თხელიძის წინააღმდეგ ძველინდურ დაცვაში, რომელიც მან თეთრებით გაითამაშა, უკეთესი პოზიცია მიიღო და გაიმარჯვა. ელიოზიშვილმა იზვოზჩიკოვთან დებიუტში ვერ მოიპოვა უპირატესობა, მაგრამ ხანგრძლივ მანევრირებაში თავი იჩინა მისმა გამოცდილებამ. იზვოზჩიკოვმა დაუშვა რამდენიმე შეცდომა და დამარცხდა. არონშტეინმა კალატოზიშვილთან წააგო პაიკი, მაგრამ, როდესაც უკანასკნელი მძიმე ცაიტნოტში აღმოჩნდა არონშტეინმა კარგად გამოიყენა ეს გარემოება და მოიგო პარტია.

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა IV ტურის შეხვედრები. ფილიდორის დაცვაში ბლაგიძემ არონშტეინის წინააღმდეგ უარესი თამაში მიიღო, მაგრამ შეუპოვარი დაცვით მან გაათანაბრა თამაში და მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე კაკოიშვილი-ჯანოევის პარტიებიც.

ფიზიკური აღზრდა საქართველოში მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში

მე-19 საუკუნის პირველ წლებიდანვე განათლების საქმე საქართველოში სრულიად ახლებურად მოეწყო, რაც დაკავშირებული იყო საქართველოს რუსეთთან შეერთების აქტთან. ქვეყანაში შედარებითი მშვიდობიანობის ჩამოვარდნამ საკმაოდ შეურყია საფუძველი ჩვენში ძველთაგან არსებულ ფიზიკური აღზრდის სისტემას, რომელიც ომისათვის გამუდმებული მზადყოფნის საჭიროებით იყო გაპირობებული.

მე-19 საუკუნის 60-იან წლებამდე საქართველოს სამოქალაქო სკოლებში თითქმის სრულებით არ ექცეოდა ყურადღება მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას, ამიტომ იყო, რომ მოწინავე ქართულმა პედაგოგიურმა აზროვნებამ ბრძოლა გააჩაღა ცალმხრივი აღზრდის სისტემის წინააღმდეგ, რაც განსაკუთრებით საგრძნობი გახდა 60-იან წლებში, როცა რუსეთიდან დაბრუნდა რევოლუციურად განწყობილი და დემოკრატიულ იდეებს ნაზიარები ქართველი ახალგაზრდობის მთელი თაობა.

1861 წ. ა. სულხანიშვილი წერდა, რომ ყოველი ხელოვნება მეგობრული კავშირით უნდა მიილტვოდეს მისადმი, რომ ჭაბუკებში განმტკიცდეს გრძნობანი სხეულთა და ზნეობათანი, რომ სათამაშო ჭაბუკთა უნდა იყოს უმანკო და ა. შ. ავტორი წინააღმდეგია აღზრდის რომელიმე მხარის წინწამოწევისა და მოითხოვს ჰარმონიულ აღზრდას („ცისკარი", № 5).

წერილში — „ამ დროების ქართველები", რომელიც შემდეგში ოდესის უნივერსიტეტის ცნობილ პროფესორს ვასილ პეტრიაშვილს ეკუთვნის, ლაპარაკია სკოლის ცხოვრების მრავალ უარყოფით მხარეზე და აღნიშნულია, რომ ბავშვი ბუნებით ცელქია, უყვარს მოძრაობა, წმინდა ჰაერზე სირბილი და სხვ. ამიტომ მათი ხანგრძლივი გონებრივი მეცადინეობა სკოლაში და სკოლის გარეთ, უმოძრაოდ, ასუსტებს ყმაწვილის ჯანსა და ასნეულებს ორგანიზმს, რომ საჭიროა გზა მიეცეს მის უვნებელ ცელქობას ასე საჭიროსა და აუცილებელს, რასაც მისი ორგანიზმისათვის აქვს დიდი ფიზიოლოგიური მნიშვნელობა. („დროება" 1866 წ., № 24).

„დროების" 1871 წლის № 47-ში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში, — „ჯანმრთელ სხეულში სულიც ჯანმრთელი არის", — ნათქვამია, რომ სხეულის ვარჯიშობას დიდი სარგებლობა მოაქვს, განსაკუთრებით იმ პირებისათვის, რომელნიც იძულებულნი არიან მუდამ ოთახში ისხდნენ და ტვინით იმუშაონ, მაგ., შეგირდებისათვის. შემდეგ ავტორს მოჰყავს გერმანიის მაგალითი, სადაც ყოველ პატარა სოფელსა და სკოლაში ფართოდ მისდევენ გიმნასტიკას, რომ დიდ და პატარა ქალაქებში გამართულია დარბაზები, სადაც ყოველ მსურველს შეუძლია მივიდეს და ივარჯიშოს, ისწავლოს თოფის სროლა, ხმლის ხმარება, გაქცევა, ხტომა და სხვ. მოჰყავს რა ეს ცნობა, ავტორი აცხადებს, რომ ჩვენი ჯირითის, ჭიდაობის და თვით მუშტიკრივის თავის დანებებას უნდა ვნანობდეთ, სადღა არიან ახლა ჩვენში ის გამოჩენილი თოფის მსროლელნი, მოჭიდავენი და ძალუმი ყოჩაღი ბიჭები, რომლებიც გაჭირვების დროს ეხმარებოდნენ თავიანთ ქვეყანასო.

მეტად საინტერესოა კავკასიის სასწავლო ოლქის ჟურნალ „ცირკულიარში" გამოქვეყნებული ვრცელი სტატია, რომელიც სპეციალობით ექიმს ეკუთვნის. სტატიას სქოლიების სახით დართული აქვს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის ვრცელი განმარტებანი, რომლებითაც ეს უკანასკნელი ცდილობს განათლების არსებული სისტემის დაცვას, წერილში წამოყენებული დებულებისაგან, რამდენადაც წერილის ავტორი სასკოლო წესდებებს უჩივის დაბალი კლასის მოსწავლეების გონებრივი და ფიზიკური მოქანცვის დაკანონებას, რაც მდგომარეობს 8-10 საათის განმავლობაში ჯდომასა და გონებრივ მუშაობაში.

წერილში ნათქვამია, რომ ბავშვის გონება ვითარდება მისივე სხეულისა და სულის განვითარების შეფერხების ხარჯზე, რომ მოსწავლეთა სწავლისა და ცხოვრების არსებული პირობები ფიზიოლოგიურად მომაკვდინებლად მოქმედებს ბავშვთა ორგანიზმზე, იკარგება არა მარტო გიმნასტიკის ხალისი, არამედ ჭამის მადაც.

აღსანიშნავია, რომ ავტორი არსებული მდგომარეობის გამოსწორების გზასაც სახავს, რაც მდგომარეობს უმარტივესი ტანვარჯიშული იარაღების, სავარჯიშო მოედნის მოწყობაში, რომელიც დაიფარება ქვიშით ან სქელი ბალახით, რათა მოსწავლემ დასვენების დროს ივარჯიშოს და ირბინოს. ამასთან აუცილებლად უნდა დაწესდეს ზედამხედველობა, რათა მოსწავლეთა საქციელი უხეშობაში არ გადავიდეს და ა. შ.

წერილში გამოთქმული შეხედულებებისათვის ავტორს „ცისკრის" რედაქციამ საგანგებო მადლობაც კი უძღვნა. ქალთა ფიზიკურ აღზრდას ყოველმხრივ უჭერდა მხარს მოწინავე საზოგადოებრივი აზროვნება. წერილები ქალთა სასწავლებლებში არსებული არანორმალური პირობების შესახებ შემდეგშიაც ქვეყნდება (იხ. გაზ. „კავკაზი" 1875, № 135, 141, 145, 150; 1876, № 1). ამ წერილებში არც თუ იშვიათად გაისმის გულისწყრომა განათლების არსებულ სისტემის მიმართ.

მცირე ასაკის ბავშვთა ფიზიკური აღზრდის შესახებ ლაპარაკია „სასოფლო გაზეთის" 1871 წლის № 23 და 24-ში გამოქვეყნებულ იასონ ნათაძის (ალევლი) წერილში, — „რამდენიმე სიტყვა ჯანის სიმრთელის შესახებ (უძღვნი ახალგაზრდა ქართველ დედებს). მასში აღნიშნულია, რომ ბავშვს წამოზრდისთანავე გული მიუწევს ცელქობისაკენ, ამიტომ უნდა ვათამაშოთ და გავართოთ ისინი. ავტორი ასახელებს „ბურთაობას", „დაჯიბრებით სირბილს", „ხუმრობით ომს", „ტყუილი ცხენით ჯირითს", რაც ბავშვს ანიჭებს ძალას, სიმარდეს, უმახვილებს გონებას. წერილში ყურადღებაა მიქცეული თამაშობათა შერჩევის საჭიროებისადმი.

ბავშვთა ფიზიკური აღზრდის აუცილებლობა აღიარებულია ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბის" ფურცლებზე გამოქვეყნებულ ბელინსკის პედაგოგიურ შეხედულებებშიც. ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ „მოამბის" რედაქციას მიზნად ჰქონდა დასახული სხვადასხვა ქვეყნის ცნობილ პედაგოგთა თხზულებების თარგმნა და გამოქვეყნება. ამაზე ლაპარაკია ზალცმანის „კონდრატ კიფერის" თარგმანისადმი წამძღვარებულ წინასიტყვაობაში.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე ანტონ ფურცელაძე „დროების" 1867 წ. № 35-ში აღნიშნავდა, რომ ჭიდაობა ჩვენში მეცნიერებად არის ქცეული. მან წამოაყენა წინადადება, რომ სახალხო დღესასწაულებზე საზოგადოებას გამოეყო პრიზი მარჯვე მსროლელებისათვის. მას ჭიდაობა, ჯირითი, სროლა, დოლი დიდ საჭირო საქმედ მიაჩნდა.

ამრიგად, გასული საუკუნის 60-70-იანი წლების ქართული პედაგოგიური აზროვნება აშკარად მოითხოვდა ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეთ, როგორც ქალთათვის, ისე ვაჟთათვის, უმთავრესად ამის შედეგი უნდა იყოს ის გარემოება, რომ მოცემულ პერიოდში ჩვენში საერთოდ შესამჩნევად გამახვილდა ყურადღება სკოლებში ფიზიკური აღზრდისადმი, ხოლო დაბალი საფეხურის მრავალ სასწავლებელში შემოიღეს ელემენტარული ტანვარჯიში და თამაშობანი, მაშინ, როდესაც შესაბამისი წესდება-დებულებანი ამას არ ითვალისწინებდნენ.

ზ. შერაზადიშვილი.

ჰელსინკი—მელბურნი

ა. ფერეირო და სილვა

ადემარ ფერეირო და სილვა 1946 წლამდე სან-პაულოს ერთ-ერთ პატარა კლუბში თამაშობდა ფეხბურთს. იგი 18 წლისა იყო, როცა მძლეოსნობაში სცადა თავისი ძალები. მიუხედავად იმისა, რომ მას სახარბიელო მაჩვენებლები არ აღმოაჩნდა (მაგალითად, სიმაღლეზე ხტომაში მხოლოდ 1 მ 50 სმ), და სილვამ მაინც განაგრძო წვრთნა ხტომებში, რბენაში. ერთი წლის შემდეგ მან პირველად მიიღო მონაწილეობა სამხტომში და მალე დაამყარა ბრაზილიის ახალი რეკორდი — 13 მ 56 სმ. ამის შემდეგ და სილვა მტკიცედ შერჩა სამხტომს.

ლონდონის ოლიმპიადაზე 1948 წელს ბრაზილიელმა ზანგმა დაიკავა მე-11 ადგილი შედეგით 14 მ 64 სმ. გამოცდილი მწვრთნელის დ. გერნერის ხელმძღვანელობით მისი შედეგები თანდათან იზრდებოდა და ბოლოს მიაღწია 15 მეტრსა და 51 სანტიმეტრს (სამხრეთ ამერიკის ახალი რეკორდი). დიდი შეჯიბრებების წინ სპორტსმენი და მწვრთნელი მცირე ხნით „სადღაც იკარგებოდნენ" და შეჯიბრებაზე ახალი რეკორდებით ანცვიფრებდნენ ყველას. ასე დაამყარა და სილვამ მსოფლიო რეკორდი 1951 წლის 30 სექტემბერს — 16,01 მ.

ჰელსინკში და სილვამ მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის წოდება ახალი მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდით — 16,22 მ.

შემდეგში მსოფლიო რეკორდმა გადაინაცვლა საბჭოთა მძლეოსან ლ. შჩერბაკოვთან, ბრაზილიელი სპორტსმენი და მწვრთნელი კვლავ „სადღაც გაქრნენ" და მალე გამოჩნდნენ ახალი რეკორდების დასამყარებლად. 1955 წლის მარტში პანამერიკულ თამაშებზე მექსიკაში და სილვამ მსოფლიო რეკორდი აიყვანა 16 მეტრსა და 56 სანტიმეტრამდე.

მელბურნში და სილვას კვლავ არა ჰყავდა ბადალი. მან მეორედ მოიპოვა ჩემპიონის წოდება ახალი ოლიმპიური რეკორდით — 16 მ 35 სმ.

ნავით უდაბნოში

გასულ წელს, ცნობილმა ინგლისელმა მწერალმა და ფოტოგრაფმა შეპარდმა უჩვეულო მოგზაურობა მოაწყო. მან სახმელეთო იალქნიანი ნავით გადასერა საჰარის უდაბნო და (ფრანგული მაროკოდან დაკარამდე). 2.750-კილომეტრიანი მანძილი დაფარა.

გარეგნობით შეპარდის ნავი ძალზე წააგავდა სავარჯიშო ბუერს, რომელიც ზამთარში ყინულზე შეიძლება ნახოთ. მაგრამ ნავს ციგურების ნაცვლად ჰქონდა საბურველიანი ბორბლები.

შემთხვევა მდინარე კოზირზე

სტალინსკ-აბაკანის რკინიგზის მშენებლობაზე ასობით ახალგაზრდა გაემგზავრა კომკავშირული საგზურით. მათ შორის ბევრია სპორტსმენი. ჩამოსულთა უმეტესობამ უკვე საფუძვლიანად აითვისა ახალი სპეციალობა. ავტომანქანების, ბულდოზერების, ექსკავატორების მართვა.

შემოდგომის უკანასკნელი დღეები იდგა. რამდენიმე ავტომანქანას სადგურ ტებადან სოფელ კოლტასში მუშათა ჯგუფი მიჰყავდა. მათ შორის იყო ყოფილი დურგალი ახლა მეექსკავატორე გ. კუზოვკინიც. მოდიოდა თოვლნარევი წვიმა. შუაღამისას ქარავანმა მდინარე ტომი გადალახა და მის შენაკად კოზირში შევიდა. წყლის დონეს საგრძნობლად აეწია ფონთან. ქარავანს წინ მიუძღოდა ბულდოზერი, რომელსაც ბუქსირით მიჰყავდა მანქანების კოლონა და იცავდა მათ. შუა მდინარეში წყალი ბულდოზერის მძღოლის კაბინაში შეიჭრა, ჩაქრა მოტორი. ქარავანი შეჩერდა. ძლიერი დინება საფრთხეს უქმნიდა როგორც მანქანებს, ისე მგზავრებს.

გ. კუზოვკინმა, რომელიც თანრიგოსანია ცურვაში, არ დააყოვნა, ტანთ გაიძრო და მდინარეში გადაეშვა. ყინულიანი წყალი თოშავდა ახალგაზრდას, მაგრამ იგი შეუპოვრად მიიწევდა ნაპირისაკენ, სადაც მესამე კილომეტრზე მუშაობდა ექსკავატორი. ხალხის გადარჩენა კი მხოლოდ მას შეეძლო.

3 საათის შემდეგ წყალში დარჩენილებს მოტორის გუგუნი მოესმათ. გამოჩნდა სინათლე. კოლონას უახლოვდებოდა ექსკავატორი, რომელსაც მართავდა გ. კუზოვკინი. დილას მანქანები და ადამიანები სამშვიდობოს იყვნენ.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვებისა — 3-88-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი. ლენინის ქ. № 14. უე 01310